ალიანსი უკეთესი
ფსიქიკური
ჯანმრთელობისთვის

Alliance for Better
Mental Health

N 05/2019 02.07.2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

მოგეხსენებათ, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტისა და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული ამოცანის შესასრულებლად, რომელიც გულისხმობს ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების სტანდარტებისა და შეფასების ეფექტური მექანიზმების შემუშავებას, შექმნილია სამუშაო ჯგუფი (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება № 01-109/ო 25 / მაისი / 2017 წ).

სამუშაო ჯგუფის შექმნის ძირითადი მიზანია საქართველოში ფსიქიკური ჯანდაცვის სტაციონარული და სტაციონარგარეშე სპეციალიზებული სერვისების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმის ხელშეწყობა.

ამ მიზნის მისაღწევად სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ფსიქიატრიული სერვისების სტანდარტისა და მონიტორინგის ინსტრუმენტები.

დაგეგმილია შემუშავებული მონიტორინგის ინსტრუმენტებით საქართველოში არსებული ყველა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისის შეფასება.

აღნიშული პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის, გთხოვთ, გაგვიწიოთ შუამდგომლობა წერილობითი ნებართვის სახით ამ სერვისებში მონიტორინგის ჩატარების უფლებაზე.

პატივისცემით,

ალიანსი უკეთესი ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის

თავმჯდომარე /ეკა ჭყონია/

მისამართი: თბილისი, 0153, იპოლიტოვ-ივანოვის ქ. N 43
ტელეფონი: +995 571731955